2015 წლის იანვარი-მარტის საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში რეგისტრირებულია სულ 95 წერილობითი განცხადება, აქედან საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ პასუხი გაეცა 79 მოთხოვნას; 10 განცხადება ზემოაღნიშნული კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად გადაეგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს; სამ შემთხვევაში მიღებულია გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე. ხოლო სამი წერილი იმყოფებოდა განხილვის პროცესში. ორ შემთხვევაში ტექნიკური მიზეზების გამო პასუხი განმცხადებელს ეცნობა დაგვიანებით. საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოსულ მოთხოვნებზე საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია რეაგირებას ახდენდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებისა და ვადების მოთხოვნათა დაცვით.